

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N16 - ელექტრონული ყულაბა

1. ელექტრონული ყულაბის საშუალებით ბანკი კლიენტს საშუალებას აძლევს განხორციელოს თანხის დაგროვება მის მიერ ელექტრონული ყულაბის განაცხადში მითითებული უნივერსალური ანგარიშ(ებ)იდან, ამავე განაცხადით განსაზღვრული ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე. ამასთან, თანხის დაგროვება განხორციელდება განაცხადში მითითებული ოდენობით და იმ პირობით, რომ კლიენტი ფლობს ბანკის მიერ ემიტირებულ ერთ აქტიურ სადებეტო ბარათს მაინც.
2. ელექტრონული ყულაბის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის ჭრილში გახსნილ იმ ტიპის ანაზრის ანგარიშზე სადაც დაშვებულია თანხის დამატება ან/და საბავშვო ანაზრის ანგარიშზე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი უფლებამოსილია საბავშვო ანაზრის განკარგვაზე ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.
3. ელექტრონული ყულაბის აქტივაცია შესაძლებელია შემდეგი არხების საშუალებით:
 - 3.1. ინტერნეტ ბანკი.
 - 3.2. გადახდის ტერმინალი.
 - 3.3. სერვისცენტრი.
4. ელექტრონული ყულაბისათვის განკუთვნილი ანაზრის ანგარიში შესაძლებელი იყოს მხოლოდ GEL, USD, EUR ან GBP ვალუტების.
5. ელექტრონული ყულაბის ფარგლებში ანაზრის შესაბამის ანგარიშზე გადასატანი ოდენობის თანხა შესაძლებელია იყოს მინიმუმ 0.25 ერთეული შესაბამის ვალუტაში.
6. ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვა განხორციელდება შემდეგი ოპერაციების ჩატარებისას:
 - 6.1. გადახდა (გარდა კონვერტაციის ფარგლებში განხორციელებულ გადახდებისა).
 - 6.2. გადარიცხვა (გარდა კონვერტაციის ფარგლებში ან კლიენტის ანგარიშებს შორის განხორციელებული გადარიცხვებისა).
 - 6.3. განაღდება ბანკომატიდან.
7. ელექტრონული ყულაბით დასაგროვებელი თანხის გადათვლა განხორციელდება შესაბამისი ოპერაციის ამონაწერში ასახვის დღეს და იმავე დღეს ჯამურად გადარიცხება ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე.
8. იმ შემთხვევაში თუ დასაგროვებელი თანხის გადათვლისას ანგარიშ(ებ)ზე, საიდანაც უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვა, არ ირიცხება საკმარისი თანხა, ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვა მოხდება ანგარიშ(ებ)ზე (საიდანაც უნდა განხორციელდეს გადარიცხვა) არსებული თანხის ფარგლებში დასაგროვებელი თანხის ჯერადად. გადარიცხვა განხორციელდება ანაზრის ანგარიშ(ებ)ის იმ თანმიმდევრობით, რომელიც მოცემული იქნება ელექტრონული ყულაბის განაცხადში.
9. თუ განხორციელებული ოპერაციის ვალუტა განსხვავდება ანაზრის ანგარიშ(ებ)ის ვალუტისგან ან დასაგროვებელი თანხის ვალუტისგან, ბანკი უფლებამოსილი თავად განახორციელოს კონვერტაცია გადარიცხვის დღეს ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად.
10. ბანკი უფლებამოსილია არ მოახდინოს დასაგროვებელი თანხის გადატანა, იმ შემთხვევაში თუ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა და შესაბამისად შეზღუდულია აღნიშნულ ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვა ან გადარიცხვა.
11. ანაზრის რომელიმე ანგარიშის ვალუტის ცვლილების ან ანაზრის დახურვის ან ანაზრის დაკონვერტირების ან ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემთხვევაში ავტომატურად განხორციელდება ელექტრონული ყულაბის გამორთვა.

12. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბა ჩართულია რამდენიმე ანაბარზე, ელექტრონული ყულაბა გაითიშება ავტომატურად თუ განაცხადით განსაზღვრული ყველა ანაბარ(ებ)ის მოქმედების ვადა შეწყდება ნებისმიერი მიზეზით.
13. ელექტრონული ყულაბის განაცხადის პირობების ცვლილება განხორციელდება ახალი განაცხადის შევსების გზით, შესაბამისად ახალი განაცხადის ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა განაცხადი რომელიც არეგულირებდა ელექტრონული ყულაბის განაცხადით განსაზღვრულ ურთიერთობებს.